

ომის შემდგომი გრიფინო

მეგობრებო, თქვენ წინაშეა დასურათებული მცირე ისტორიული ექსკურსი, გრიფინოს ომის შემდგომ პერიოდს რომ ეძღვნება.

გრიფინო დღეს აღმავლობას განიცდის – ინვესტორებს იზიდავს და მომავალ გამოწვევებს უშიშრად ხვდება: იზრდება სამუშაო ადგილების რაოდენობა; პრიორიტეტულია საგანმანათლებლო და კულტურული პროგრამები; უმჯობესდება ცხოვრების ხარისხი; დაგეგმილია, ქალაქის გვერდის ავლით, ავტობანის გაყვანა და ელექტროსადგურ „დოლნა ოდრას“ ორი თანამედროვე ენერგეტიკული ბლოკის მშენებლობა.

...60 წლის წინათ კი დაუჯერებელი იყო გრიფინოს ცენტრში დომინანტი მწვანე გაზონების, ხოლო პარკოვას ქუჩაზე რეგალიცის სარკის ხილვა. ერთ-ერთი პიონერი მოსახლის გადმოცემით, ორმოცდაათიანი წლების ბოლომდე ქალაქი უფრო ნგრევას განიცდიდა, ვიდრე აღშენებას. შჩეჩინის მიწაზე, მრავალ პატარა მიძინებულ ადმინისტრაციულ პუნქტს შორის, გრიფინოც ერთფეროვან და უღიმღამო გარემოს ქმნიდა.

სამოცდაათიან წლებში, ნოვი ჩარნოვში დიდი ელექტროსადგურის მშენებლობამ ქალაქი განავითარა და განაშენიანა: საცხოვრებელი უბნები გაფართოვდა, მოსახლეობა გასამმაგდა, 1977 წლის გაზაფხულზე კი ძლიერი ანტიკომუნისტური მოძრაობა ჩამოყალიბდა, რომელიც თანამშრომლობდა მუშების თავდაცვის კომიტეტთან და თავისუფალ პროფკავშირებთან.

გრიფინოში პოლონელების განსახლება ოფიციალურად 1945 წლის გვიან გაზაფხულზე დაიწყო. მანამდე ქალაქი საბჭოეთის მიერ შემუშავებული იმ თავდასხმითი გეგმის ნაწილი იყო, რომელიც ქალაქ შჩეჩინის დაკავებით სრულდებოდა. საომარი მოქმედებები 1945 წლის 8 მარტიდან მიმდინარეობდა. წითელი არმიის ტაქტიკურ ბრძოლას მხარს პოლონეთის პირველი ახალგაზრდული დამოუკიდებელი საარტილერიო ერთეული და ორი

საარტილერიო დივიზია უჭერდა. 20 მარტიდან საბჭოთა ჯარისკაცები უკვე ქალაქს აკონტროლებდნენ; ძალაუფლებას ფლობდა საბჭოთა კომენდანტი, რომელსაც ევალეობდა ფრონტის ზურგში წესრიგის შენარჩუნება, სამხედრო ერთეულებისა და ტექნიკის უზრუნველყოფა, გერმანული სამრეწველო მოწყობილობების დემონტაჟი და გატანა, აგრეთვე რეპატრიაციის საკითხებზე მუშაობა. 1945 წლის 2 აგვისტოს ამ პროცესმა, პოჩდამსკის კონფერენციის დასრულების შემდეგ, არაკანონიერი სახე მიიღო.

1944 წლის დეკემბერში, სტალინის ნებართვით, პოლონელმა კომუნისტებმა დროებითი მთავრობა (ლეგიტიმური ხელისუფლება დევნილობაში იმყოფებოდა) შექმნეს, ედუარდ ოსობკა-მორავსკის მეთაურობით, რომელმაც 1945 წელს, მმართველობის განმტკიცების მიზნით, სამხედრო ფორმირებები დასავლეთის მიწებისკენ გააგზავნა; ერთ-ერთი დანაყოფი, ედუარდ კუნიკის ხელმძღვანელობით, 1945 წლის 12 მაისს გრიფინოში შევიდა და პოლონეთის დროშები ააფრიალა.

კომუნისტურმა ხელისუფლებამ მთავარ ამოცანად გერმანელთა გასახლება და პოლონელი ხალხისათვის შესაბამისი საცხოვრებელი პირობების შექმნა დაისახა, რაც საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის უკმაყოფილებას (და ზოგჯერ სერიოზულ კონფლიქტსაც) იწვევდა. საქმე ისაა, რომ ამ უკანასკნელთა მხრიდან გრიფინო, როგორც მაშინდელი 12 ოლქი დასავლეთის საზღვართან, სამხედრო დასახლებად მოიაზრებოდა; ცხადია, ასეთი დამოკიდებულების მიზანი სახელმწიფო საზღვრების მაქსიმალური უზრუნველყოფა და დაცვა იყო. თუმცა ფაქტი ფაქტად დარჩა – ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, 900 ჯარისკაცი (უმრავლესობა პოლონელი) დემობილიზებულ იქნა პირველი და მეორე არმიის რიგებიდან.

პიონერი მოსახლეები გრიფინოში 1945 წლის ზაფხულში გამოჩნდნენ. ესენი გახლდნენ პოლონელი ყოფილი ტყვეები, რომლებიც მატარებლით მოემგზავრებოდნენ სახელმწიფოს დასავლეთში აღმოსავლეთ ნაწილიდან, მესამე

რაიხის მიერ იძულებითი შრომის მსხვერპლნი, გერმანელი პატიმრები ბანაკებიდან, აგრეთვე სამართლებრივ დევნაში მყოფი პირები.

ახალმოსახლეთათვის ძირითად პრობლემას საბჭოეთის მიერ გაქურდული ინდუსტრიული საწარმოების გამართვა და ამოქმედება წარმოადგენდა. 1946 წელს ელექტროსადგური, წისქვილი, ჯაგრისების და ტყავის ფაბრიკა ამუშავდა, შემდეგ წელიწადს კი – მშრალი ხის გადამუშავების ფაბრიკა ჟაბნიცაში; 1945 წლის 1 სექტემბერს სწავლა დაიწყო პოლონურ პირველ საშუალო სკოლაში, სადაც მარია დობრომილსკა ასწავლიდა; ცოტა ხანში გაიხსნა გიმნაზიაც.

ქვეყნის იმჟამინდელი ხელისუფლება კარგად აცნობიერებდა რელიგიის როლს დასავლეთის მიწების ფართომასშტაბიან ათვისებაში და კათოლიკური ეკლესიისა და მრევლის გაძლიერების აუცილებლობას ხედავდა; ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ქალაქ კალუშიდან ჩამობრძანებულ მღვდელს, იან პალიცას, რომელმაც 1945 წლის 2 სექტემბერს გრიფინოში პირველი წირვა აღავლინა.

თუმცა ქალაქის აღდგენა-განვითარება ფერხდებოდა. ამის მიზეზი გახლდათ ეკონომიკის ნაკლებობის დარგში მიღებული მოდელი, დაკავშირებული მბრძანებლობით გამანაწილებელ სისტემასთან, სადაც ძირითადი გადაწყვეტილებები – მათ შორის, დიდი თუ მცირე საინვესტიციო ინიციატივები – ცენტრალური მმართველობის დამტკიცების შემდეგ ხორციელდებოდა. ამ გარემოებამ გრიფინო დააზარალა. ასევე განუხორციელებელი რჩებოდა ქალაქ შჩენინის დანგრეული უბნების აღდგენისა და სხვა პატარა ქალაქების რეაბილიტაციის ექვსწლიანი გეგმა. ვითარებას ვაჭრობის ნაციონალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაც ართულებდა.

სამოცდაათიან წლებამდე გრიფინოს შენობა-ნაგებობების 70% ჯერ კიდევ ომისგან გაპარტახებული იყო, მათ აღსადგენად ბევრი არაფერი კეთდებოდა, აქედან გაზიდული მეორადი სამშენებლო მასალები სხვა ქალაქების, მათ შორის, ვარშავის რეაბილიტაციას ხმარდებოდა.

სიცარიელე სუფევდა კულტურის სფეროშიც, რომელსაც ცენზურა მკაცრად აკონტროლებდა. ამ მძიმე, კომუნისტური იდეოლოგიის უალტერნატივობის ხანაში ერთგვარ გარღვევას ქმნიდა ანტისაბჭოთა პროპაგანდისტული ფილმების ჩვენება კინოთეატრ „გრიფის“ ძველ შენობაში, რომელიც პირველი მაისის ქუჩაზე მდებარეობდა; აგრეთვე იოსებ სტალინის სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, საოლქო სახალხო საბჭოს მიერ გამოცემული გაზეთი „ჭიემია გრიფინსკა“. ზოგადად კი, გართობას ინდივიდუალური ხასიათი ჰქონდა, მაგალითად, ადგილობრივ პლაჟზე, სადაც დროდადრო მუსიკის ჰანგები ისმოდა...

1956 წელს ვითარება შეიცვალა: პოლონეთს საბჭოთა კავშირიდან რეპატრიანტების მეორე ნაკადი მოაწყდა და გრიფინოში 200 ახალი მაცხოვრებელი გამოჩნდა. დემოგრაფიულმა მატებამ საცხოვრებელ შენობა-ნაგებობებზე მოთხოვნა გაზარდა, განსაკუთრებით კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, ვლადისლავ გომულკას მმართველობის პერიოდში. საზოგადოებაში ჩაისახა იმედი, რომ დეგრადირებული ქალაქი, ბოლოსდაბოლოს, აღმავლობის გზით წავიდოდა.

ამდენად, ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში, გრიფინოში საერთო სოციალური მდგომარეობა, წინა წლებთან შედარებით, ოდნავ გაუმჯობესდა: ქალაქი ნანგრევებისგან გაიწმინდა, საოლქო კომისიის მიერ შემუშავდა და ამოქმედდა სამწლიანი ეკონომიკური გეგმა და პირველი მაისის ქუჩაზე, ომის შემდგომ პირველად, საცხოვრებელი შენობების აგება დაიწყო; გაიზარდა პროდუქტების მოწოდება ადგილობრივ მაღაზიებში; მუშაობა განაახლა საავადმყოფომ, გაიხსნა ექვსი ჯანმრთელობის ცენტრი, მათ შორის, ბავშვთა და მოზარდთა; ასევე ძველ ჩარნოვში ამოქმედდა სამკურნალო დაწესებულება, სადაც ქალაქ შჩენინიდან მოვლინებული ექიმი სპეციალისტები მსახურობდნენ; შემსუბუქდა კულტურის ცენზურა და 1958 წელს, დასავლეთის მიწების განვითარების საზოგადოების მეთვალყურეობის ქვეშ, გაიხსნა საოლქო კულტურის ცენტრი; აგრეთვე მცირედით გამარტივდა კერძო პირების მიერ წარმოებული საქმის პირობები, რასაც ეგრეთ წოდებული „პრივატნა ინიციატივა“

დაერქვა; ამუშავდა მაუდის ფაბრიკაც... თუმცა საზოგადოების მოლოდინი, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური წინსვლის მხრივ, გაცილებით დიდი იყო. და თითქოს ამ მოლოდინმაც არ დააყოვნა... დიახ, ომის შემდგომი ქალაქის სტაგნაციის საბოლოო დასასრულად, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ელექტროსადგურ „დოლნა ოდრას“ მშენებლობა ითვლება ნოვი ჩარნოვში. ეს გახლდათ სსრკ-ის მიერ პოლონეთზე დაკისრებული ვალდებულება, დაფუძნებული ეკონომიკური ურთიერთდახმარებისა და პარტნიორობის კონცეფციაზე – პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ენერგეტიკული პოტენციალის გაძლიერება წარმოქმნიდა ენერგეტიკულ ხიდს, რისი მეშვეობითაც დენი გადაიგზავნებოდა ევროპის რამდენიმე ქვეყანაში.

ელექტროსადგურის აგება, მკაცრად გაწერილი გეგმის მიხედვით, დაიწყო 1971 წლის 1 აპრილს და დასრულდა 1977 წელს, გათვალისწინებულზე ნახევარი წლით ადრე, იმის მიუხედავად, რომ მშენებლობა მოითხოვდა 3 ათასზე მეტ მუშახელს (1969 წელს გრიფინოს მოსახლეობა 6.500 ადამიანს ითვლიდა) და აგრეთვე მაღალკვალიფიციურ და პროფესიონალ კადრებს, რომელთა ნაკლებობასაც ქალაქი განიცდიდა. აგრეთვე არ უნდა დავივიწყოთ, რომ სახელმწიფოში დომინირებდა „ზემოდან“ მართვადი, მბრძანებლობით გამანაწილებელი ეკონომიკური სისტემა, თუმცა სამშენებლო დარგი ნელ-ნელა ცდილობდა გამოყოფას ინდუსტრიული ინვესტიციებისაგან. ...საზოგადოების მოთხოვნა ბინებით დაკმაყოფილების თაობაზე კი იზრდებოდა... თუ სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში გრიფინოს მოსახლეობა 15 ათასი ადამიანი იყო, 1987 წელს, დაახლოებით, 20 ათასი გახდა. მართალია, თვალსაჩინოდ განაშენიანდა ქალაქის ცენტრი, გაჩნდა „პოლუდნიეს“ და „გურნი ტარასის“ დასახლებები და სარეზერვო დასახლება ნოვი ჩარნოვში, მაგრამ ეს ზღვაში წვეთი იყო.

პრობლემები არც ჯანმრთელობის საქალაქო სამსახურს აკლდა – მაგალითად, 1905 წელს აგებული საოლქო საავადმყოფოს შენობა, რომელიც თითქოსდა 1959 წელს განაახლეს, ქალაქის გაზრდილ მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებდა. შენობის რეაბილიტაციისა და გაფართოების გეგმა, ბიუჯეტის დაზოგვის მიზნით,

ოთხმოციანი წლების დასაწყისში ბევრჯერ შეაჩერა გრიფინოს მთავრობამ, საბოლოოდ კი საერთოდ ამოიღო დაფინანსების სიიდან.

1984 წელს სამთავრობო თათბირზე უკვე განიხილებოდა მოქალაქეთა უკმაყოფილება დანგრეული ქუჩების, ცხელი წყლის უკმარისობის, მაღაზიების სიმცირის, საშინელი მომარაგების ხარისხის და, ზოგადად, შექმნილი ეკონომიკური კრიზისის თაობაზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ანტიკომუნისტური მუხტი საზოგადოებაში გაცილებით ადრე გაჩნდა და მძლავრი საპროტესტო გამოსვლებიც გდანსკის გემთსაშენის ქარხნის მუშების გაფიცვაზე და „სოლიდარობის“ მოძრაობაზე ადრე დაიწყო:

1976 წლის 25 ივნისს, ელექტროსადგურ „დოლნა ოდრაში“, დენის ტარიფის კატასტროფული გაზრდის გამო მომზადდა აჯანყება, რომელიც ქალაქ გრიფინოში, მძლავრი და კარგად ორგანიზებული ოპოზიციური ძალის ჩამოყალიბების მიზეზი გახდა. მუშებმა შექმნეს 23-კაციანი გაფიცვის კომიტეტი (შემდგომში „კომიტეტ რობოტნიჩი“), ჩამოწერეს მოთხოვნები და გამართეს საწარმოს დირექციასთან მოლაპარაკება. ინდუსტრიული დაცვის მეთაურის ოფიციალური მოვალეობები გადაიბარა გაფიცვის კომიტეტის მიერ ჩამოყალიბებულმა მუშაკთა დაცვის ჯგუფმა, რომელიც სრულად ფლობდა სიტუაციას და აგრესიულად განწყობილ პირებს აშოშმინებდა. პროტესტანტთა რადიკალური მოთხოვნების მიუხედავად, არც ენერგეტიკული ბლოკები შეჩერებულა, არც დანადგარები განადგურებულა და არც შენობები გაპარტახებულა. მალევე პრემიერმა იაროშევიჩმა მომატებული ტარიფების გაუქმების ბრძანება გასცა. დემონსტრაციები შეწყდა. მუშათა საბჭოს თავმჯდომარემ, იეჟი ნოვაკმა ოფიციალურად გამოაცხადა გაფიცვის გაუქმება და საზიმო სიტყვა წარმოთქვა: „გავიმარჯვეთ, რადგან მარტონი არ ვყოფილვართ, მთელი პოლონეთი იყო ჩვენთან, სოლიდარობამ გაიმარჯვა“!

თუმცა აღნიშნული ფაქტის გამო, კომუნისტური ხელისუფლება რეპრესიების გატარებას შეუდგა: სამსახური დაატოვებინეს ყველა აქტივისტს, მათ შორის, გაფიცვის მმართველი კომიტეტის წევრებს; 200-მდე პირმა გაფრთხილება მიიღო

პირად საქმეში შეტანით; ინდუსტრიული დაცვის მეტაურს კი ბრალად წაუყენეს უმოქმედობა საფრთხის მოლოდინის დროს.

მომდევნო წლის გაზაფხულზე, ძმები იანი (იგი 1976 წლის დემონსტრაციის მონაწილე გახლდათ) და მიროსლავ ვიტკოვსკი, თანამშრომლობის მიზნით დაუკავშირდნენ მუშათა კომიტეტის დაცვის ერთ-ერთ წევრს, იაცეკ კურონს და ანნა ვალენტონოვიჩს; ამის შემდგომ დაიწყო მათი აქტიური მიმოსვლა ვარშავაში, საიდანაც ჩამოჰქონდათ პროკლამაციები და ავრცელებდნენ ელექტროსადგურის ტერიტორიაზე. მალე ძმებს შეუერთდა ელექტრომონტიორი ზდიშლავ პოდოლსკი, ფოსტის მუშა დანუტა გრაეკი და სტეფან კოზლოვსკი – შჩეჩინის საწარმოდან „პოლომო“. ჯგუფი არალეგალურ, ანტიკომუნისტურ პროპაგანდას ეწეოდა, ძირითადად, გრიფინოსა და შჩეჩინში, რაც 1979 წლის 11 ოქტომბერს თავისუფალი პროფკავშირების, „ზახოდნიე პომორსკის“ („დასავლეთის ზღვა“) ჩამოყალიბებით გაგრძელდა.

მიროსლავ ვიტკოვსკი იხეხენებს: „11 ოქტომბრიდანვე დაიწყო რეპრესიები. სამსახურიდან გამოსულს ხშირად მაკავებდნენ პოლიციის კომისარიატში, ძირითადად, პარასკევს, კვირის შუადღემდე; რადგან კანონის ძალით დაშვებული სრული უფლებით, უშიშროება სამოქალაქო პირის თავისუფლების აღკვეთას ახორციელებდა 24 საათის განმავლობაში, პროკურორის მიერ გაცემული სანქციის გარეშე“.

1981 წლის 13 დეკემბერს დააპატიმრეს თვითმმართველობითი პროფკავშირის, „სოლიდარნოშჩის“ თითქმის ყველა წევრი, თუმცა ამით საპროტესტო მუხტი არ განელებულა, ამას მოწმობს ისიც, რომ 1982 წლის გაზაფხულიდან გრიფინოს პირველი არალეგალური გაზეთი „ჟიემია გრიფინსკა“ 61-ჯერ გამოიცა.

დღეისათვის გრიფინო, ტურისტული თვალსაზრისით, საკმაოდ მიმზიდველი ქალაქია. ამას, პირველ რიგში, მისი ადგილმდებარეობა განაპირობებს, კერძოდ, თვალწარმტაცი დაცული ლანდშაფტები და ქვემო ოდრის ველის რეკრეაციული

ტყე-პარკი; უნიკალურია ნოვი ჩარნოვში „კშივი ლაც“, ავეჯის ინდუსტრიაში გამოყენებისათვის ოდესღაც მიზნობრივად დეფორმირებული წიწვოვანი ხეებით.

ქალაქი ხშირად მასპინძლობს სხვადასხვა კულტურულ, სპორტულ და გასართობ ღონისძიებებს. თუმცა ყველაზე პოპულარულია ყოველწლიური დღესასწაული „დნი გრიფინა“.

2006 წლიდან ორგანიზებულია გრიფინოს მოგზაურთა ფესტივალი „ვლოჩიკი“, რომელიც იწვევს ცნობილ მოგზაურებს პოლონეთიდან და საზღვარგარეთიდან. აქტიური კულტურული თანამშრომლობა გრიფინოს აკავშირებს შემდეგ ქალაქებთან: ბარლინეკი და რაციებოვიცის ოლქი (პოლონეთი), სამბორი (უკრაინა), შვედტი (Schwedt), გარტზი (Gartz) და ბრენსბურკი (Bersenbrueck) (გერმანია).

ასე რომ, მრავალი ტანჯვისა და იმედგაცრუების შემდეგ გრიფინო უკეთესი მომავლის იმედით სუნთქავს.